

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 34

ქ.თბილისი

2021 წლის 2 აპრილი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 2 აპრილს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ლაშა თავართქილაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის მ. გოგუაძის ოქმი და საითინგი, მოუსმინა თბ „არმია“-ს მწვრთნელს გიორგი ლუაშვილს ამა წლის 25 მარტს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩზე, თბ “ხვამლი2“-სა და თბ „არმია“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. თბ „არმია“-ს მწვრთნელი დავით ლუდუშაური - დისკვალიფიკაციის პერიოდში, თამაშის დროს გუნდთან კონტაქტი.
2. თბ „არმია“-ს მწვრთნელი დავით ლუდუშაური - არაეთიკური, არასპორტული საქციელი.
3. თბ „არმია“ - საშეჯიბრო განაცხადში არ მყოფი მორაგბის თამაში.
4. თბ „არმია“-ს მწვრთნელი გიორგი ლუაშვილი - მორაგბის სხვისი გვარით თამაში.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.1, 2.1.6, 2.1.8, 2.1.19, სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის დანართი #1-ს 1.1, 1.6, 1.8, 1.18 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბ „არმია“-ს მწვრთნელი დავით ლუდუშაური დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 1000(ათასი) ლარით.
2. თბ „არმია“-ს მწვრთნელი გიორგი ლუაშვილი - დისკვალიფიცირებული იქნას 5(ხუთი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 2000(ორიათასი) ლარით.
3. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 2.1.19 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში კლუბის მიმართ ამოქმედდება ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.
4. კლუბის მიერ ჯარიმის 7(შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში არ გადახდის შემთხვევაში, ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის დანართი #1-ს 1.8 პუნქტი და თბ“არმიას“ ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 5(ხუთი) საცხრილო ქულა.

